



მოქალაქეთა რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით

28.07.11.

ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო რეფორმის ინიციატივასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ გამართა საჯარო შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. საჯარო შეხვედრები გაიმართა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსა და ახალი თაობა ახალი ინიციატივასთან პარტნიორობით. შეხვედრების დროს „სამართლიანმა არჩევნებმა“ და პარტნიორმა ორგანიზაციებმა მოსახლეობას გააცნეს თავიანთი რეკომენდაციები საქართველოს 20 საარჩევნო ოლქში, 16 მუნიციპალიტეტსა და 4 თვითმმართველ ქალაქში. 2011 წლის 16 მაისი 1 ივლისის განმავლობაში ორგანიზაციამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად შეხვედრები გამართა შემდეგ ოლქებში: **რუსთავი, ქუთაისი, თიანეთი, გორი, საჩხერე, წალკა, გურჯაანი, ბორჯომი, ბოლნისი, მარნეული, ახალციხე, თელავი, სამტრედია, ოზურგეთი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ზუგდიდი, ონი და მესტია.** შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 1 397-მა ადამიანმა, კერძოდ: პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მას მედიის წარმომადგენლები, ასევე აქტიური მოქალაქეები. შეხვედრებზე დამსწრე საზოგადოებამ გამოხატა საკუთარი მოსაზრებები და წარმოადგინა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რეკომენდაციები. ისეთ ძირეულ საკითხებზე, როგორცაა ამომრჩეველთა სია, საარჩევნო ადმინისტრაცია, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და საარჩევნო სისტემები, თითქმის ყველა ოლქში ერთგვაროვანი პოზიცია დაფიქსირდა. წარმოგიდგენთ მოქალაქეთა რეკომენდაციებს თემების მიხედვით:

ამომრჩეველთა სია - 20 შეხვედრიდან 10 ოლქში (რუსთავი, თიანეთი, გორი, ქუთაისი, თელავი, გურჯაანი, ბორჯომი, ოზურგეთი, ქობულეთი და მესტია) ამომრჩეველთა სიის დახვეწა იყო ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ძირითად აქცენტს აკეთებდნენ ბიომეტრიული პირადობების შემოღებაზე და ამ გზით ამომრჩეველთა სიის დახვეწაზე, ხოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლების რეკომენდაცია შეეხებოდა ამომრჩეველთა სიებზე მომუშავე მუდმივმოქმედი ჯგუფის შექმნას, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ამომრჩეველთა სიის დახვეწაზე და მისი საქმიანობა, ისევე როგორც მიღწეული შედეგები, იქნება საჯარო ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რეკომენდაციები იყო: ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩეველების მიერ საკუთარი თავის გადამოწმების ვადის გაზრდა; ამომრჩეველთა სიიდან არარსებული მისამართების ამოღება; ამომრჩეველთა

სიის ერთიანი ბაზი შექმნა, რომელიც იქნება საერთო ყველა არჩევნებში ჩართული ორგანოსათვის.

საარჩევნო სისტემები - საარჩევნო სისტემის შეცვლის აუცილებლობასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა 10 საჯარო დებატზე (ონი, მესტია, ფოთი, გურჯაანი, მარნეული, ოზურგეთი, ზუგდიდი, წალკა, სამტრედია და ბათუმი). დამსწრე საზოგადოებისგან გამოხატული მოსაზრებები საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით იყო შემდეგი: საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მხოლოდ პროპორციული სისტემით; საარჩევნო სისტემის ცვლილება იმგვარად, რომ მოხდეს გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა და გაუქმდეს მაჟორიტარი დეპუტატები; არჩევნებში მონაწილეობის, კონკრეტულად კი ხმის მიცემის კანონისმიერი ვალდებულების შემოღება; საარჩევნო სისტემის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან; თვითმმართველი ქალაქების მერის პირდაპირი წესით არჩევა; საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი კანდიდატების მონაწილეობა არჩევნებში, რომლებიც არ წარმოადგენენ არცერთ პოლიტიკურ პარტიას; საპარლამენტო არჩევნების დროს რეგიონალურ-პროპორციული სისტემის შემოღება; სამართლიანი საარჩევნო სისტემის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა საარჩევნო ოლქის ამომრჩევლის ხმის თანასწორობას და ამასთანავე გაითვალისწინებს მცირე რაოდენობის ამომრჩევლიანი საარჩევნო ოლქების წარმომადგენლობას პარლამენტში; ზღვრის დაწესება, რომელიც არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ მისცემს კონსტიტუციური უმრავლესობით პარლამენტში მოსვლის შესაძლებლობას.

საარჩევნო ადმინისტრაცია - საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირება და მისი მუშაობის წესი არჩევნების დროს იყო ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი დამსწრე საზოგადოებისთვის 14 საარჩევნო ოლქში (ოზურგეთი, ბათუმი, ონი, რუსთავი, თიანეთი, გორი, ქუთაისი, გურჯაანი, ბოლნისი, სამტრედია, ფოთი, ქობულეთი, ზუგდიდი და მესტია). მოქალაქეებისაგან შემოთავაზებული ძირითადი რეკომენდაციები შეეხებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალედ და კვალიფიციური წევრებით დაკომპლექტებას, რათა ის კანდიდატები, რომელთაც ჩადენილი აქვთ სხვადასხვა სახის კანონდარღვევები არჩევნების დროს, არ იქნენ ხელახლა არჩეული საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებად. ასევე რეკომენდაციები შეეხებოდა პოლიტიკურ პარტიათა მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მუდმივ და სისტემატურ ცვლას, რომელიც აუცილებლად უნდა შეიზღუდოს, რათა ხელი არ შეეშალოს საარჩევნო ადმინისტრაციის გამართულ მუშაობას. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან იყო შემოთავაზებები, რომ ადმინისტრაცია უნდა დაკომპლექტდეს მხოლოდ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთაგან, მაშინ როდესაც სამოქალაქო საზოგადოების თუ დებატების სხვა მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ადმინისტრაცია უნდა დაკომპლექტდეს უპარტიო, პროფესიონალი კადრებით. მიუხედავად ადმინისტრაციის შემადგენლობისა, დებატების მონაწილეებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ნებისმიერი შემთხვევაში, ადმინისტრაციის

წევრთა შერჩევის დროს ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს კანდიდატთა მაღალი კვალიფიკაცია და გამოცდილება საარჩევნო საკითხებში.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება- ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის დროს ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხი იყო თითქმის ყველა საჯარო დებატის დროს. შეხვედრებზე აქცენტი გაკეთდა სამ ძირითად საკითხზე: წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოხელეების მონაწილეობის შეზღუდვა საარჩევნო კამპანიაში; მკვეთრი ხაზის გავლება პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო კამპანიასა და საჯარო მოხელეთა საქმიანობას შორის; და ყველა პოლიტიკური პარტიისთვის ადმინისტრაციულ რესურსზე თანაბარი ხელმისაწვდომობა. ასევე გამოითქვა რეკომენდაცია წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტის მიერ აგიტაციის გაწევის აკრძალვასთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება კენჭისყრის დღეს მათი სხვადასხვა საარჩევნო უბანზე ვიზიტით.

საარჩევნო დავები - საარჩევნო დავებთან დაკავშირებით რეკომენდაციები გამოითქვა ბოლნისში, მარნეულში, ქუთაისსა და თელავში. პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან გამოიკვეთა სურვილი იმისა, რომ გაიზარდოს საჩივრის შეტანისა და განხილვის ვადები. ხოლო საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მხრიდან დაფიქსირდა პოზიცია, რომ არსებული ვადა საარჩევნო დავებისთვის არის სრულიად საკმარისი მათი განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის. დავებთან დაკავშირებით ასევე იყო რეკომენდაცია, რომ არსებული განცხადების/საჩივრის/სარჩელის ფორმები საკმაოდ რთულია შესავსებად და აუცილებელია მათი გამარტივება.

სხვა რეკომენდაციები - გარდა ზემოთ გამოთქმული მოსაზრებებისა, მოქალაქეებმა გამოთქვეს სხვადასხვა სახის რეკომენდაციები, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით. სხვა დამატებითი რეკომენდაციები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

(1) სისტემატური შეხვედრებისა და სხვადასხვა ღონისძიებების გამართვა ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით; (2) წინასაარჩევნო პერიოდის ვადის გაზრდა და ნაცვლად 60 დღისა 90 დღის დადგენა; (3) კონკრეტული პასუხისმგებლობის ზომების დადგენა საარჩევნო უბნებზე ჩადენილ კანონდარღვევებთან დაკავშირებით; (4) შემაჯამებელი ოქმებისა და სხვა საარჩევნო დოკუმენტაციის შევსების წესების გამარტივება; (5) სკოლის შენობებში საარჩევნო უბნების განთავსების აკრძალვა და არჩევნებში სკოლის ადმინისტრაციის მონაწილეობის შეზღუდვა; (6) საარჩევნო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სალექციო კურსის შემოღება ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტისათვის; (7) გენდერული ბალანსის დაცვა პოლიტიკური პარტიების სიებსა და საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში; (8) ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის ენობრივი ბარიერის გადალახვის საშუალებების მექანიზმების შემოღება.

„სამართლიანი არჩევნები“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ავრცელებს მოქალაქეთა რეკომენდაციებს.

საარჩევნო პროცესებისადმი ამომრჩეველთა ნდობის ამაღლების მიზნით, ვთვლით, რომ მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა ამ პროცესებში. სწორედ ამიტომ, ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ჩართულები არიან საარჩევნო კოდექსის რეფორმის პროცესში, გულდასმით გაეცნობიან და გაითვალისწინებენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციათა, ასევე მოქალაქეთა რეკომენდაციებს საარჩევნო კანონმდებლობის ფორმირების პროცესში.



ამ განცხადების გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ „სამართლიან არჩევნებს“ და შესაძლოა, არ გამოხატავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

